# ალლაჰს რომ სათანადოდ მიენდოთ, ის გიბოძებდათ საარსებო საშუალებებს ზუსტად ისე, როგორც აძლევს პურს ჩიტს, რომელიც დილას ცარიელი მუცლით გამოდის და საღამოს გამძღარი ბრუნდება

გადმოცემულია უმარ იბნ ალ-ხატტაბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ალლაჰს რომ სათანადოდ მიენდოთ, ის გიბოძებდათ საარსებო საშუალებებს ზუსტად ისე, როგორც აძლევს პურს ჩიტს, რომელიც დილას ცარიელი მუცლით გამოდის და საღამოს გამძღარი ბრუნდება».
[رواه الإمام أحمد والترمذي والنسائي وابن ماجه وابن حبان في صحيحه والحاكم] [სანდო (საჰიჰ)]

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) მოგვიწოდებს, ვენდოთ ყოვლისშემძლე და დიად ალლაჰს როგორც ამქვეყნიურ, ასევე რელიგიურ საქმეებში სიკეთის მოპოვებასა და ზიანის მოშორებაში. რადგან მხოლოდ ალლაჰს (წმიდა და დიადია იგი) შეუძლია მისცეს და წაართვას, მიაყენოს ზიანი და მოუტანოს სარგებელი. ასევე, მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოგვიწოდებს, რომ მივიღოთ შესაბამისი ზომები, ვაკეთოთ საქმეები, რომელთაც მოაქვს სარგებელი და აფერხებს ზიანს, გულწრფელად ალლაჰზე დაყრდნობით. როცა ასე მოვიქცევით, ალლაჰი მოგვაწვდის საარსებო საშუალებას, როგორც ის აწვდის პურს ჩიტებს, რომლებიც დილით მშიერი ტოვებენ თავიანთ ბუდეებს და საღამოს ბრუნდებიან სავსე მუცლებით. ჩიტების ეს ქმედება არის ერთ-ერთი მაგალითი მიზეზების შექმნისა საარსებო საშუალების მოსაპოვებლად, პასიურობის და ზარმაცობის გარეშე.

https://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66538

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee